საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# სოციალისტ-ფედერალისტი

ხუთშაბათი მაისი 26

1921 წ

ფასი 100 მანეთი

რედაქციის მისამართი: დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას.

### დეკლარაცია.

**აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შესახებ.**

მენშევიკური ხელისუფლება, რომელიც არსებითად წარმოადგენდა ქართველ ბურჟუაზიის ხელისუფლებას ქართველ მშრომელთა ჩაგვრასთან ერთად განსაკუთრებული სიმკაცრით ახშობდა ეროვნულ უმცირესობათა რევოლუციონურ თვით-მოქმედების გამომჟღავნებას, რაც სთესდა ყოფილ „საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის“ ცალკე ეროვნებათა შორის განუწყვეტელ შუღლსა და მტრობას.

ჩაგვრის პრინციპს საბჭოთა ხელისუფლება პირისპირ უყენებს, განურჩევლად ეროვნებისა, ყველა მშრომელთა თანასწორობის და ძმური კავშირის პრინციპს. ეროვნულ ცრუმორწმუნოების ამოსაფხვრელად და მშრომელთა ძმური კავშირის განსამტკიცებლად ერთად ერთ ნამდვილ საშუალებათ მას მიაჩნია ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლება, რომელიც აღიარა დიადმა ოქტომბრის რევოლუციამ.

სდგას რა ამ საფუძველზე, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტი სცნობს აფხაზეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობას და მიესალმება მას. ამასთანავე რევოლუციონური კომიტეტი აცხადებს, რომ საკითხი საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკისა და აფხაზეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ურთიერთობის შესახებ გადაწყვეტილი უნდა იქნეს საქართველოს და აფხაზეთის მუშათა და გლეხთა დეპუტატების ყრილობაზე. ორივე სოციალისტურ რესპუბლიკათა მშრომელმა ხალხმა თვით შექმნას მჭიდრო კავშირი თავიანთ შორის.

**საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტი.**

### ფურცლები

30.

**როგორ ვიცავთ კომუნიზმს?**

გუშინდელს „პრ. გრუზიაში“ ვ—ძეს წერილია ჩვენს წინააღმდეგ. დაუმძლიანი, ყალბი, მეტად სუსტი, საამო ბევრი ჩვენი მოწინააღმდეგისათვის.

საკითხი ეხება რკინის გზის პრ. კავშირების ერთიანობას.

ვცდილობთ რაც შეიძლება მოკლედ მოვუჭრათ აზრი. გაზეთის სვეტი ნებას არ გვაძლევს. ვ—ძეს უკვირს, რომ კომუნისტებთან საერთო ენა გვაქვს და ზოგიერთი დებულება მოგვწონს. „ფედერალისტები და კომუნისტები!!“—უკვირს ვ—ძეს, იცინის, ხითხითებს, გაკვირვების ნიშნებს გვისვამს.

— რა გითხრათ მოქ. ვ—ძევ, შეიძლება თქვენ კომუნიზმი ბუხარინის ანბანიდან მიიღეთ, რა გაეწყობა! ჩვენი ფედერალიზმი, სოციალიზაცია და კომუნიზმი ჩვენ ბუხარინიდან არ მიგვიღია. დაიჯერებთ ვ—ძევ?—თქვენს ნამუსზე იყოს, მხოლოდ გაცნობებთ თქვენს პოლიტიკურ დაბადებამდე ჩვენ ფედერაციასაც ვიცნობდით და სოციალიზაციასაც.

რა გვაერთებს ჩვენ დღეს კომუნისტებთან? ბუხარინი?—არა მოქ. ვ—ძევ. გვაერთებს: მსოფლიო ისტორიის რევოლუციური გაგება, ფედერაციის საერთოება, სოციალიზაციის პრინციპი. კომუნიზმი კონსეკვენციაა ამ დებულებების და ამ მოძღვრებას ბუხარინამდე დიდი მკვლევარი ჰყავს და ბუხარინამდეც გვესმოდა იგი.

ამ აზროვნების ნიადაგზეა ჩვენი ერთობა. მოდით და იცინეთ ამიერიდან მოქ. ვ—ძევ!

ხსენებულ შემეცნებას ჩვენ სასტიკად ვიცავთ. კიდევ გაიცინეთ და გაიკვირეთ მოქ. ვ—ძევ—დავიცავთ თქვენზე უფრო მტკიცედ; ვიდრე იგი შემეცნება თქვენ ბუხარინის წიგნში გინახავთ, ჩვენ ამ პრინციპებს 15 წელი ვემსახურებით.

მაგრამ ერთს წუთსაც არ დავიცავთ კომუნიზმს და თქვენს ფედერაციას თუ იგი ერებს უარყოფს და ფედერაციას დაივიწყებს. ბუხარინის წიგნსაც დავწვავთ თუ იგი ერის ბუნებრივ ატრიბუტებს შეებრძოლება.

მაგრამ ბუხარინის წიგნი ჩვენთვის სახარება არ არის. არც ლენინისათვის არის ბუხარინის მრავალი დებულება მისაღები. ალბად ესეც არ იცის მოქ. ვ—ძემ.

ბუხარინის ციტატები იოტის ოდნავ ვერ გაამართლებს ვერც ვ—ძეს და ვერც ერთს დებულებას ერის უარსაყოფად. განა ერის სიმართლე ეყრდნობა „პროლეტარიატულებს“ ან „ეროვნულ“-ს? თქვენ ერის ბუნების და ეროვნული პოლიტიკის ანბანა არა გაქვთ შესწავლილი, თორემ ერის საკითხს და მის სიმართლეს არ დაუკავშირებდით მტრობას, შურს და ცრუ აზრებს.

მოიშორეთ ეს ზღაპრები მოქ. ვ—ძევ და ისე იწერეთ მსჯელობა.

ვ—ძეს მოჰყავს ბუხარინის აზრი: „необходимо найти путь для наиболее быстрого преодоления всякого нац. шовинизма, эгоизма, нац. глупости, подозрительности у трудящихся масс этого звериного периода (слушайте, господа федералисты — звериного) жизни человека и звериной национальной травли“.

ასეთ ამოსავლებით ჩვენს წინააღმდეგ იბრძოლა პირდაპირ სამარცხვინოა და იარიბაროსობაა.

თუ ერის საკითხი მეცნობა და მეცნიერ გოძნობაა, რაიცა ბუხარინს არსად უთქვამს, ხოლო რაიცა გამოსჭვივის ვ—ძეს ხელში, როცა ეს ტაქტიკური უეცრად იყენებს ბუხარინის აზრს, ჩვენ ვეკითხებით მას, რა უფლების ძალით იცავთ მაშინ ფედერაციას?

მეტი სიცხადე გვმართებსო ბატონო ვ—ძევ, თორემ კომუნიზმს და ფედერაციას საერთოდ, ხოლო რუსეთის რევოლუციის დიდ მიზნებს ცუდ სამსახურს გაუწევთ.

დიდი ბედნიერება გვმართებს ჩვენ, სოც.-ფედერალისტებს. იმ დიდ სკოლაში, რომელ-აც საქართველო ეწოდება, ჯერ კიდევ ბევრი მოწაფე ყოფილა, რომელსაც შოვინიზმი, კარიერიზმი და ერის სამსახური ერთმანეთისაგან ვერ გაურჩევია და საიდაც კი შოვინიზმი და ხოლოგია მოელანდება წიგნებში ყველგან ფედერალისტები წამოეჭიმება წინ!

ქუჩის იტყოდე, კოსმოპოლიტიზმისათვის მეტი ცოდნა და მორიდება საჭიროა.

რაც შეეხება გაერთიანების პოლიტიკას, კიდევ ჩვენი აზრი: ჩვენ ფედერალისტები ვართ და ყოველ სფეროში ფედერაციას ვიცავთ. თქვენს კომუნისტურს დროშაზე ფედერაცია სწერია. ჩვენ მოვითხოვთ თქვენგან პასუხს: გწამთ თქვენ თქვენი დროშისა თუ არა გწამთ? და თუ გწამთ, რისი ფედერაციას ახდენთ. თუ ყველაფერს ერთიანობის პრინციპს დაუქვემდებარებთ, თუ ერთი იქნება პროფ-კავშირი, გზა, ეკონომიკა, პოლიტიკა, ყველაფერი—ფედერაცია რისიღა მოხდება?

გესმით თუ არა ბატონო ვ-ძევ ფედერაცია რას ნიშნავს? და თუ გესმით, მაშინ კეთილ ინებეთ, დაგვიჯერეთ და პაპლაპალმებულ ზღაპრებს ნულარ მოგვთავაზებთ, რომელსაც არც კომუნიზმთან აქვთ კავშირი, არც ფედერალიზმთან, არც არავითარ შემეცნებასთან. კავშირი კი აქვს მხოლოდ ავადმყოფურ სიძულვილსა და გალიუცინაციასთან.

თედო ღლონტი.

### ქართველთა მაისობა

საუკუნეთაგან დატანჯულის სიღრმიდან მომდინარეობს დიადი ხმაური ეროვნული ცხოვრებისა.

ხელ-შეუხებელ საიდუმლოებას გადაუხურია ბნელი თაღები მის სათავეზე.

მომავლის განუსაზღვრელ ამოცანებში კი იკარგება მის შესართავი.

აქ შორეულ აღმოსავლეთისა და დასავლეთის საზღვრებზე მოღვაწეობს ერი და გაისმის მისი ძლიერი ხმა კიდითი კიდე.

სად არის ბრძოლა, სად არის შრომა, ანუ მაღალი ზრახვა ადამიანთა, რომელშიაც ეროვნული გუგუნი არ გაისმოდეს ნაზუსხებრივ ჰიმნად?

მომავალთან საკამათოდ, ცხოვრების გზათა გასაკაფავად ადამიანს გაუშლია მრავალფერი დროშა, მაგრამ მას ზედ წინ—ეს ეროვნული დროშაა.

იგი ხან ამაყურად აღმართულა ერის არჯვენაში, ხან ჩამოშლილა ბედის—სიმძიმით, მაგრამ ერის სულში კი იგი დაუცხრომლად ფრიალობს.

და იფრიალებს, სანამ იქნება სახსენებელი ერისა დედა-მიწაზე.

ქართული დროშაც არ დაკეცილა.

ჩვენ ერს ძუნწად უგემია სიკეთე სოფლისა, მაგრამ აუცილებელია ვაება მისი. ამიტომ უფრო ფანჯვით არის ნახახი დაუმთავრებელი მატიანე ჩვენი, ვიდრე სიხარულით.

მაგრამ რამდენ საუკუნეს შთაუბერია მასში სული და უქადია იგი უკვდავად ახალ და ახალ თაობისათვის.

ქართველთა ცხოვრების კერა არ ჩამქრალა არას დროს, თუმცა მრავალ ას წელს გადაუვლია მის თავზედ ურჩინარად.

მხოლოდ ხან და ხან ჩვენი ერი დაატკბებდა ხოლმე თავის სულის ფოლადს და იგი დატკბება გადიქცეოდა ჩაუქრობელ ჩირაღდანად საუკუნეთა განმავლობაში.

უკანასკნელი ასეთი დატკბება ქართველის ერისა იყო ოცდა ექვსი მაისი.

ეს დღე გადიქცა წმინდა სალოცავად ყველა ქართველისათვის და მის ბადალს ვერარც წარმოშობს ადვილად ბედისაგან დევნილი მომავალი ცხოვრება ჩვენი. დღევანდელი დღე არ არის ზეიმი მოხეტიარე ხალხისა. ეს უნდა იყოს დიადი, უმაღლესი ლოცვა ქვეყნის წინაშე, რომ ჩვენა ვართ ქართველები და გვსურს დავრჩეთ მომავალშიც ისევ ქართველად.

საქართველოს შვილებო! სხვა და სხვა აზრის მოთაყვანენო, ძლიერნო და სუსტნო, გამგებელნო და მორჩილნო, დღეს უნდა წარშალოთ ყოველგვარი სამზღვარი ერთმანეთის განსხვავებისა და დასტოვოთ თქვენს ირგვლივ მხოლოდ ერთი გალავანი, ძველის ძველი ეროვნული გალავანი, აქ უნდა დაივიწყოთ ყველაფერი და გახსოვდეთ მხოლოდ ერთი,

რომ თქვენ ხართ ქართველები.

ქართველო კაცო! გაჭირვებამ ჩამოარღვია შენი ცხოვრების ერდო. სიმშილმა დაგიწიოკა ოჯახი, სიშიშვლისგან ველარა ჰფარავ ამაყ მხრებს და სირცხვილით ქედ-წახრილი დაიარები ბედმა დაგცა მუხლის თავზე და ჩაშავებულის თვალებით დედა-მიწას ჩასჩერებიხარ.

მაგრამ დღეს დაივიწყე ყველაფერი! დაივიწყე სიმშილი და სიშიშვლე! დაივიწყე ცხოვრების ჩარხის უკუღმა ტრიალი და დღევანდელ დღეს, ოცდა ექვს მაისს, გახსოვდეს მხოლოდ ერთი,

რომ შენ ხარ ქართველი.

ადამიანი დღე-მოკლეა, მაგრამ ერი დღეგრძელია. იგი იზრდება მარადჟამს. და დღევანდელ დღეს ქართველი ერის ერთ ფიქრად გადევება, ერთ ხმაზედ ამეტყველდება.

უნდა ჰპირმავდეს რომ იგი ქართველია.

მაშ გაუმარჯოს საქართველოს და ქართველ ხალხს!

ლეგ. მეტრეველი.

### 26 მაისი.

დღეს მესამედ დღესასწაულობს ქართველი ხალხი ჩვენი ერის განთავისუფლების წლის თავს—26 მაისს. სულ რაღაც სამი წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ქართველმა ხალხმა მოაწყო საკუთარი სახელმწიფოებრივი ცხოვრება, სამი წელია რაც მან იცნო თავის თავი, იგემა თავისუფალი, დამოუკიდებელი არსებობის სიტკბო და სიმწარე, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს მცირედი ხანი ბევრად აღემატება თავისი მნიშვნელობით, თავისი სიდიადით მონობაში განვლილ მთელს საუკუნეს...

რამდენი სისხლი დაღვარა ქართველმა ხალხმა დამოუკიდებელი ცხოვრების შესანარჩუნებლად, რამდენი მსხვერპლის გაღება დარჩა საჭირო, რომ ქართველ ერს დაეძლია ის დაბრკოლებანი, რომელიც მას გადაეღობა წინ თავისი ნებისყოფის განხორციელებისათვის ბრძოლაში... და ჩვენ ვიცით, რომ საქართველო სუდამ გამარჯვებული რჩებოდა...

საიდან იღებდა ჩვენი ცხოვრების მესაჭენი იმდენ ძალასა და ენერგიას, რომ დაეძლიათ მრავალი დაბრკოლებანი, მოეგერებიათ ურიცხვი მტერი ჩვენი დამოუკიდებლობისა, რა წყარო იყო ის წყარო, რომელსაც ისინი ეწაფებოდნენ და რომელიც მათ აძლევდა მძლეთა მძლეობას? ეს წყარო იყო ქართველი მშრომელი ხალხი... მინამ, სანამ არსებობდა ერთობა მმართველ წრესა და ჩვენი ერის მშრომელ ნაწილებს შორის, მანამ საქართველო უძლეველი იყო; სანამ ჩვენი მშრომელი ხალხი დარწმუნებული იყო, რომ საქართველოს მთავრობა თანდათანობით, ხორცს შეასხამდა მუშათა კლასის იდეალს, მანამ მათ შორის თანხმობა სუფევდა და ეს თანხმობა იყო სწორედ საქართველოს ძლიერების წყარო...

მაგრამ რაც დრო მიდიოდა ჩვენი მმართველი წრე თანდათან შორდებოდა მშრომელ ხალხს და ამ ხალხის მახლობელი და შორეული ინტერესები მისთვის გაუგებარი ხდებოდა. ამნაირად მოხდა გათიშვა ერის ბურჯის—მუშა ხალხის და მმართველი წრისა, მოხდა ენათა აღრევა და რაც ამას შედეგად მოჰყვა, ამას დღეს ყველანი კარგად ვხედავთ.

ამის შედეგია ისიც, რომ წელს ქართველ ერს სხვა პირობებში უხდება საქართველოს დამოუკიდებლობის მესამე წლის თავის დღესასწაულის გადახდა. დღეს ჩვენ 26 მაისს ვდღესასწაულობთ გარეშე ძალის თანადასწრებით, შეიძლება ითქვას ამ ძალის ძლიერი გავლენის ქვეშ... მაგრამ მაინც ვდღესასწაულობთ.

შეიძლება დღეს ერთი პოლიტიკური პირობები იყოს, ხვალ მეორე, გუშინ ერთი ჯგუფი იყო სახელმწიფოს მესაჭედ, დღეს—მეორე, მაგრამ ქართველი ერი მაინც ქართველ ერად დარჩა და ის ასეთად იქნება მარადის, უკუნისამდე. და სანამ არსებობს ქართველი ერი, სანამ გაისმის ქართული სიტყვა, 26 მაისიც თავის მნიშვნელობას შეინარჩუნებს, ის მოგვაგონებს საქართველოს ასის წლის მონობისაგან განთავისუფლების დღეს და აგრეთვე იმ წრესა თუ ჯგუფებს, რომელნიც ამ განთავისუფლებისათვის იღვწოდნენ, ნიადაგს ამზადებდნენ ქართველი ერის სრულს ყოფნად.

და ამ საქმეში, ეჭვი არ არის პირველი ადგილი ეჭირა საქართველოს სოც.-ფედ. სარევოლიუციო პარტიას. მომავალშიაც ის მტკიცედ იდგება სადარაჯოზე და არავის მისცემს უფლებას ბოროტი ხელი შეახოს ჩვენს ეროვნულ თავისუფლებას.

— ეროვნული თავისუფლება, დამოუკიდებელი სახელმწიფო!

— მშრომელი ხალხის ხელმწიფება დამოუკიდებელ სახელმწიფოში!

— ძმური კავშირი მეზობელ ერებთან!

ასეთი იყო ჩვენი პარტიის დიდი მიზანი. და ასეთი მიზანი აქვს მას დღესაც.

გაუმარჯოს 26 მაისს!

გაუმარჯოს საქართველოს მუშათა კლასს!

გრ. ტოროტაძე.

### 26 მაისი და „შევარდენი“

ქართველ მშრომელ ხალხის ისტორიაში 26 მაისი დიდ მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი დღეა. როგორც დღეს, არც ერთ სხვა დღე ისე არ მოხვედრია ქართველ ხალხის სულს, თავისუფლებისადმი წყურვილი. ეს დღეა ქართველ ხალხის გამოფხიზლებისა, მრავალ ბატონების თავიდან მოცილებ[ისა].

ამ დღეს გასწყვიტა ამირანმა მონობის ჯაჭვი, რომლითაც საქართველოს თავისუფლება დიდი ხნის განმავლობაში სიბნელეში და წყვდიადში იყო მოცული. მშვენიერ სიმძლავრე ხომ საქართველოს სილამაზის გამოხატულებაა. და საერთოდ სიმძლავრე და სილამაზე ერთმა

26 მაისში გამოხატა. ტყუილად კი არ მიიკუთვნა ეს დღე—26 მაისი—დღე საქართველოს განთავისუფლებისა მის მშვენიერებამ, ჯერ კიდევ ნორჩ „შევარდენ“-მა.

26 მაისი—ეს „შევარდენი“-ს დღეა. ამ სამ წელიწადში „შევარდენი“-ს გამოსვლა ტრადიციათ იქცა. ამ დღეს „შევარდენ“-თა მძლავრი ფრთების მოძრაობა ალამაზებს, ახურმუხტებს საქართველოს მიდამოებს. ამ დღეს უფლობს და ყოველივეს ფლობს „შევარდენი“, ვინაიდან არ არის ადამიანი, რომლის სულს არ სწვდება გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა. ამის თავდებია „შევარდენ“-თა მწყობრი მწკრივები, შევარდენთა ლამაზი ძიხევა-ქანაობა—მოძრაობა-მუსიკალობა.

სამი წლის წინათ, როდესაც სულ ათიოდე კაცით დაიწყო მოქმედება „შევარდენ“-თა 1 საზოგადოებამ, დღეს, საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში მოქმედობს უკვე თხუთმეტიოდე საზოგადოება, რომელიც შეკავშირებულია საქართველოს შევარდენთა კავშირში და ითვლის ათიათას წევრზე მეტს. მარტო ტფილისში, სადაც მოქმედობს რვა საზოგადოება, ვარჯიშობს ხუთი ათასი კაცი, ქალი და ბავშვი. ეს არის ნამდვილი ხალხი, ჩვენი ერის გულიდან გამოსული და მომავალში მძლავრი მე[illegible] საქართველოს თავისუფლებისათვის თავგადადებული.

შევარდენთა კავშირი განაგებს ახალგაზრდათა ფიზიკურ აღზრდა განვითარებას როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეშე. მაშინ, როდესაც სამი წლის წინათ საქართველოს სკოლებში ირიცხებოდა მხოლოდ ექვსი ტანვარჯიშობის მასწავლებელი, დღეს უკვე ას ორმოცდა ათ სკოლაზე მეტს ყავს სათანადოთ მომზადებული ტანვარჯიშობის მასწავლებლები. ამისათვის კი შევარდენთა კავშირს უკვე მოწყობილი აქვს ტფილისში ტანვარჯიშობის მასწავლებლების მოსამზადებლათ ტანვარჯიშობის ინსტიტუტი. სკოლის გარეშე კი თვით „შევარდენი“-ს საზოგადოებები, რომელთაც ყავთ თავისი შტაბი მოსამსახურეებისა და წვრთნელებისა ვარჯიშთათვის მეთაურობით, შევარდენში თქვენ ნახავთ მრავლათ მუშა-მოსამსახურეთა შვილებს, თვით მუშებს და მოსამსახურეებს, მასწავლებლებს, მხედრებს და სხვა.

დღეს დღეობით მიღებულია ზომები რათა ტანვარჯიშობის საქმე სათანადოთ დაყენებულიყოს ჩვენს ნაციონალ ქართულ წითელ ლაშქარში და ამასთანავე „შევარდენი“-ს დახმარებით ახლო მომავალში მოეწყობა აგრეთვე სამხედრო საყოველთაო სწავლა, რასაც რუსები „ვსეობუჩ“-ს ეძახიან.

და დღეს საქართველოს დამოუკიდებლობის სამი წლის თავზე „შევარდენი“ კვლავ აღჭურვილი დიად იდეებით, თავისი ხალხის სიყვარულით, განაგრძობს თავის მოქმედებას, საქართველოს მშრომელ ხალხისათვის სამსახურს.

ვაშა „შევარდენ“-ს! გაუმარჯოს „შევარდენ“-ს.

ხ. ახლაბიშვილი.

## ფიქრები

10.

საყვარელი დღე.

დღეს 26 მაისია...

მოწიწებით ვეგებები ამ დღეს, რამდენი ნატვრა, გრძნობანი და ფიქრები იბადებიან გულის სიღრმეში.

ჩვენ ვიცით ერის მრავალფეროვან და ლამაზ ისტორიიდან დრო, როდესაც ცეცხლის ზღვა ისროდა საქართველოსაკენ საშინელ ტალღებს, სისხლის ნაკადულები ჰყრუებდა არე-მარეს, გადამწვარი სოფლების და ქალაქების ალი სვეტად იყო ამართული, გლოვის ზარი ზმუოდა ქვეყნის [illegible].

მონღოლების, სკვითების, თათრების სპარსელების და სხვა მრავალ მტერთა მიერ იყო აოხრებული ზურმუხტი მხარე.

მაგრამ ქართველ ერს არასოდეს იარაღი არ დაუყრია იმედი არ გაუცრუებია—იგი იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, ისტორია ასპინძის, კრწანისის, აწყურის, ტაბახმელის—

გამოჰყვა 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტისა.

და ყოველივე ეს ერმა მოიპოვა ბრძოლით, საუკეთესო უამრავი შვილების სისხლის დაღვრით. ბრძოლაში მან შეიყვარა, დაიხლოვა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა, დღეს კი ქართველმა ერმა არამც თუ დაიახლოვა და შეიყვარა, გულში ჩაიკრა და ჩაიკონა იგი...

გადახედეთ საქართველოს ტურფა მდელოს: ყველგან დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი, მუშა და ინტელიგენტი, ობოლი და საწყალი ყველა, ყველა და ყოველი ქართველი როგორ ევლება თავს ამ იდეას—ერის ცხოვრების სილამაზეს და მშვენიერებას.

დიდება საქართველოს!

გაუმარჯოს 26 მაისს!

დათიკო პერეგაზელი.

## მუშათა ფურცელი

### დღეს 26 მაისია

დღეს 26 მაისია. ეს იცის კარგად მთელმა ქართველმა ხალხმა, იცის იმიტომ რომ ეს მისი სიცოცხლის მიზანია, მისი მსოფლმხედველობაა და ბოლოს საკუთარი ნებისყოფაც არის.

26 მაისი ტრადიციული დღეა ქართველი ხალხისა და ყველა მოქალაქე რომელ ტომსაც იგი არ უნდა ეკუთვნოდეს, ამ დღეს მოწიწებით პატივს უნდა სცემდეს და აღიარებდეს.

ჩვენი დროშა სიწმინდის გამოხატულებაა და ვისაც იგი არა სწამს, უნდა მოშორდეს ტაძარსა რომ არ შეახოს თავისი ბილწი ხელები მას.

კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ დამონებული ქართველი ერის განთავისუფლება [illegible] სისხლით არის მოპოვებული, და ვინც მას ბოროტად მოეპყრობა—ძვირად დაუჯდება.

დღევანდელი დღე, არ არის ზეიმი და პარადი, რომელიმე მიმართულების, პარტიის და ჯგუფის, როგორც ეს ჩვენში ბევრსა ჰგონია.

ძველი ისტორიის ფურცლებზე ბევრი რამა სწერია ხალხთა ცხოვრებიდან—დაპყრობა-დამონავება, განადგურება, დევნა და აუარებელი სისხლის ღვრა, მაგრამ არც ერთი ეპოქა არ ახსოვს ვერავითარი ზარბაზნებით, ვერავითარი პოლიტიკით და [illegible]—ერის სამუდამოდ მოსპობა.

დიახ, მრავალი საუკუნოების განმავლობაში პატარა საქართველომ, ივერიის ტანჯულმა შვილებმა მრავალი ინკვიზიცია განიცადეს „ბუმბერაზ“ სახელმწიფოებისაგან და მიუხედავად ამისა,—ამირანმა ქართველი ხალხის სახით, დალეწა რკინის ჯაჭვები და თავი განთავისუფლა მონობისაგან. ასე მოხდა, ასე მოხდება შემდეგშიც, იმიტომ რომ—ისტორიის ნებისყოფა ასეთია.

და აჰა, დღეს დაბრმავებულიც კი ხედავს აყვავებულ და გაღვიძებულ საქართველოს, მის დიდ კულტურას, მის წინ მსვლელობას და დამოუკიდებლად ცხოვრებას. ასე მოხდა, ასეც იქნება უკუნისამდე იმიტომ რომ, ასე ინება ქართველმა ხალხმა—ასეთია მტკიცე ნებისყოფა ქართველი ერისა.

არიან ჩვენს ტერიტორიაზე, ჩვენს სამშობლოში ისეთი ხალხი, რომელთა ლოზუნგია:—თუ მე მოვკვდი, შენც მოგკლავო.

მაგრამ ქართველ ხალხს ეროვნული სიკვდილი არ უწერია და არც შეიძლება რომ ასე მოხდეს; ვინაიდან ჩვენ შეგვიძლიან პიროვნება მოგვსპოთ, მოგვკლათ, მაგრამ ერი დარჩება მთლიანი იმიტომ, რომ მისი სიცოცხლე მარადიულია.

ქართველ ხალხს თავის დროშაზე სიბოროტე კი არ უწერია, არამედ—ძმობა-ერთობა, სიყვარული, სიცოცხლე.

კულტურულმა კაცობრიობამ მიზნად დაისახა და იბრძვის, რომ შექმნას ახალი ცხოვრება, აღთქმის ქვეყანა—სოციალიზმი და კომუნიზმი და ქართველი ხალხი მარადის ამ ბრძოლაში იყო, არის და იქნება, როგორც ერთეული წევრი მსოფლიო სახელმწიფოებისა და ხალხებისა.

ქართველი ხალხის ბრძოლის მიზანი და შინაარსი არის—სოციალიზმი და ამ ბრძოლაში იგი შეუპოვარი და უდრეკია,

## 26 მაისს.

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს“.

აკაკი.

დღეს გამართლდა მგოსნის სიტყვა, აღდგა მკვდრეთით საქართველო,
კვლავ სიცოცხლით შეიმოსა ლამაზი და ტურფა მდელო,
შეაჩერეს გლოვის ზარი, ჩამოიხსნა შავი ფარდა,
შეჰფრიალდა ისტორია და ჯალათი დასამარდა.

—

ღმერთო! ის დღეც მომასწარი ოდეს მტკიცეთ მეწამება,
რომ აღმდგარი საქართველო აღაროდეს ეწამება.

შ. ტყავაძე.

## 26 მაისი

მთვარის სიკვდილზე ათრთოლდება ფოთლებზე ქარი,
დიდურ ალერსით ჩაეხვევა მძინარე ყანებს;
ციცი ნანა ვით მოისინე, ფრთა ანჩქარი—
და ფრჩქვევს ნამცვარს, ცით მანანით ნაარმაღანევს!
აფერადდება საზეიმოდ მაისის დილა,
რწმენის სიმბოლოდ ერის დროშა ზე აღმართული,—
ზღაპრად აკიანდავს მშობლის თავზე რაც გადახდილა,
სამებაზობას დაიჩემებს სიტყვა ქართული!
კვამლად ქუჩებში გაიშლება ქალ-ვაჟთა მწკრივი,
აგიზგიზდება სამდურ ცეცხლით გრძნობათ სახმილი;
მაგრამ სამშობლოს შარშანდელად, გულ განაცივი—
ვეღარ შეაკრთობს მძინარე არწივთ ვაშას ძახილი!..
მწვანე გრეხილად გაშოტილი იმედის ქედი,
უძრავ ტიტანად დაყრდნობილი სისხლნაბან ქვებზე,
გუშინ მქუხარე, ზამთრის ქარის გადანახედი;
დღეს მდუღარე ძეგლად აღმართულა გმირთ საფლავებზე.
ძრწოდეს ის შვილი, მოაქვალი შეუთვლის კიცხვას,
ვინც ფერად ხმებში გაახვიოს ზრახვა მზაკვარი;
დატანჯულ მოძმით, ვით იუდა მოიმკის რისხვას
და ჟამ-ლ მასზე გაიელვებს ბასრი ლახვარი!..

მ. უზნაძე.

ვერავითარი ჯაშუშები, ვერავითარი ჯალათები და ხიშტები ამ ბრძოლაზე ხელს ვერ აგვაღებინებენ.

ჩვენი დროშა ამ ბრძოლის ყიჟინაში მუდამ მაღლა ამაყად იფრიალებს... შეიძლება ჩვენ ბრძოლის ველზე დროშა წაგვართვან, მოგვისპონ, მაგრამ ქართველი ხალხი უდროშოთაც იბრძოლებს და მიაღწევს თავის საბოლოო მიზანს აღთქმულ ქვეყანაში. ქართველმა ერმა უნდა იცოცხლოს დამოუკიდებლად იმიტომ, რომ ამას მოითხოვს ინტერესი—სოციალიზმისა.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

გაუმარჯოს მსოფლიო კაცობრიობის სოლიდარობის ფედერაციას!

სალამი 26 მაისს.

მუშა დ. მელია.

## ახალი ამბავი

— **შესწორება.** გრუზავროსტას ქრონიკაში 1921 წ. 20 მაისის თარიღით № 83 ე 15 ფურცელზე 26 მაისის დღესასწაულის შესახებ ცნობა სწორე არაა: ეროვნების მოედანზე საძირკველს ჩაჰყრიან საქართველოს მშრომელთა განთავისუფლების ძეგლს, ბოლო რუსთაველის ძეგლს საძირკველს ჩაჰყრიან სახელმწიფო თეატრის ბაღში.

— **საზოგადო სასადილოები.** სასურსათო სახალხო კომისარიატის კოლეგიამ წინადადება მისცა საზოგადოებრივ კვების ქვე განყოფილებას ადგილობრივად გაეცნოს საქმის ვითარებას მუშათა სასადილოებში და მათ მომარაგებას. ეს მუშაობა უნდა დამთავრდეს 5 დღის განმავლობაში, ამავე განყოფილებას დაევალა შეადგინოს ინსტრუქცია ქალაქის სასურსათო კომიტეტისთვის, ტფილისის და პროვინციის სასადილოებისათვის.

## რადიო

დიდი ხანია დრო იყო.

ოდესა. მაისის 17. რუმინიის გაზეთები სწერენ რომ რამდენიმე დღის შემდეგ რუმინიის დელეგაცია გაემგზავრება რეველში საბჭოთა რუსეთთან მოსალაპარაკებლად. სოციალისტური გაზეთები ფიქრობენ, რომ თუმცა რუმინია მოსალაპარაკებლად დელეგაციასა გზავნის მაგრამ მას არა სურს გულწრფელად ზავი.

**რკინის გზით მიმოსვლა ესტონეთთან.**

მოსკოვი. მაისის 19. ჩვეულ საბჭოთა ესტონეთის კომისიამ დაათვალიერა რკინის გზის ხაზი პსკოვ-ვალკს შორის გზა დაუზიანებელია. მოძრაობა დაიწყება ამ დღეებში.

## მოწერილი ამბავი.

### გორი.

შემთხვევით მომიხდა ყოფნა გორის მაზრაში. დღევანდელი ეკონომიური ცხოვრების სირთულე სოფელსაც ღრმათ დაჩენია. ფულზე ვერავინ იშოვია და სტუმრის, რომელშიც ღმერთმა დაგიფაროს, გვალვას მეტის-მეტად ჩაუფუჭებია გლეხკაცობა. თუ ამ თვის 29-დე წვიმა არ მოვიდა მთლად დავიღუპებითო... მართლაც და მინდორზე ჯეჯილი უწვიმობის გამო დაკუტებულია და სიყვითლეც ემჩნევა. სადაც კი წყლის რუ უდგება გლეხები გაფაციცებით რწყავენ ჯეჯილს.

გარდა ამისა ცხინვალის რაიონისა და საერთოდ „სამხრეთ ოსეთის“, როგორც ამ მხარეს თვით ოსები ეძახიან, სოფლების მხრივ გულშეზარ მოვლენებს აქვს ადგილი. ბოროტი ელემენტები დღემდის თავისას არ იშლიან და განაგრძობენ თავისუფალ თარეშს მეზობელ ქართულ სოფლებში, ვითომ და დაკარგულ საქონლის აღმოსაჩენად. ნამდვილად კი იარაღით ხელში ეს ვაჟბატონები ადგილობრივ რევკომების გარეშე სხვა და სხვა დროს ქართულ სოფლებში იპარებიან, [illegible] რასაც მოახელებენ და ამასთან საქონელსაც იტაცებენ. [illegible] მომჩივლა ზოგიერთ მოთავრეთ ასეთი წესიც ჰქონიათ: სხვის საქონლის წითვისება: რომ გატაცებას ოფიციალური ხასიათი მისცენ, წინასწარათ ქართველების საქონლის ნიშნებს ინიშნავენ, მერე „სამხრეთ ოსეთის“ საოლქო რევკომის სახელზე განცხადებას სწერენ, სადაც დანიშნულ ნიშნებს იხსენიებენ და სთხოვენ რევკომს ამ ნიშნების საქონელი მათ ქართველებმა ჩააბარონ... ასეთის საოლქო რევკომი ბრძანებლობის კილოთი სწერს (რასაკვირველია რუსულად) ახლო მდებარე ქართულ სოფლების სარაიონო რევკომს, რათა განცხადებაში აღნიშნული ნიშნების საქონელი განცხადების მომტანს ჩაჰბარდეს და სხვა... სხვათა შორის რამდენიმე მკვლელობასაც ჰქონია ადგილი. ოსების რაიონებთან ახლო მდებარე ქართულ სოფლების მდგომარეობა მეტად უნუგეშოა. საჭიროა და რაც შეიძლება ჩქარაც, რომ საბჭოთა საქართველოს მთავრობამ ზომები მიიღოს ამ დაუშვებელი და უმსგავსო მოვლენების ძირშივე აღკვეთის, რომ ამით ქართველებსა და ოსებს შორის ეროვნულმა შუღლმა თავი არ იჩინოს და მათ მეზობლურ ურთიერთობას კვლავ ძმური ბეჭედი დაესვას.

მერი.

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამომცემი დრ. მთავარი კომიტეტისა.

ქ. ლანჩხუთში.
ექიმი
**ოლღა ხოფერია**
იღებს სპეციალურად ქალთა და ბავშვთა სნეულებათა ავადმყოფებს.
კალისტე ჩიჩავას სახლში. 1047

კბილის ექიმმა
**აპოლონ ურუშაძემ**
განაახლა ავადმყოფების მიღება
9—1 ს. და 4—7 ს.
ბებუთოვის ქუჩა 13, ბინა 1. 29

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურად ხმარობს (914 ტ 606
სქესობრივი უძლურება, ვენერიულ ხსუხუნათი და შედეგებს.
ახალი ბებუთოვის ქ. 5, ცეცხლის მქრობელ რაზმის ახლო. ავადმყოფების მიღება 10—2 და 5—7 საათ. 946

**დაიკარგა** ბათომის უკრაინის კონსულისაგან ოქტომბრის 11, 1920 წ. 635 ნომრით აღებული მარკოზ მოსეს ძე მეილმანის და მისი ცოლის იდე ეფრემის ასული მეილმანის სახელობაზე აღებული, რაიც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. 1048

1921 წლის ივნისის 5-ს ტფილისში დანიშნულია საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევ. პარტიის

## მეექვსე კონფერენცია

განსახილველი საკითხები:

1. პოზიცია და ტაქტიკა,
2. მთავარ კომიტეტის მოქმედება და
3. მიმდინარე საკითხები.

კონფერენციაზე დელეგატებად გზავნიან პარტიული ორგანიზაციები 200 კაცზე ერთს. თუ ორგანიზაციას არა ჰყავს სრული ორასი წევრი, მაინც გზავნის ერთს დელეგატს.

არჩევნებს ხელმძღვანელობს სათანადო საქალაქო, სამაზრო ან საოლქო კომიტეტი და იგივე ამტკიცებს მანდატს.

კონფერენციის მომწყობი მთავ. კომიტეტის და დრ. მთავ. კომიტეტის კომისია.

ყოფ. გიმნაზიის დამაარსებელი და გამგე მათემატიკის მასწავლებელი ი. მაჩაიძე
**ამზადებს**
საზაფხულო განმეორებითი გამოცდებზე:
მათემატიკაში, ფიზიკაში, გერმანულ და რუსულ ენებში. საშუალო სასწავლებელში და საერთო განათლების კურსებზე შესასვლელად. მასწავლებლობის, აფთიაქის შეგირდის და 4, 5, 6, 7 კლასის მოწმობაზე
მისამართი: პლეხანოვის ქ. 25. (შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან № 5) ნახვა 9—11 ს. 2—5 ს. 1015